დამტკიცებულია უნივერსიტეტის

რექტორის 2024 წლის 24 ოქტომბრის №41031
ბრძანებით

ცვლილება შეტანილია:

შპს ევროპის უნივერსიტეტის რექტორის

N2026 წლის 23 თებერვლის N15976 ბრძანებით

სტუდენტთა საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობის წესი

2024

დოკუმენტის შინაარსი

მუხლი 1. მიზანი და რეგულირების სფერო 2

მუხლი 2. კონკურსის გამოცხადება 3

მუხლი 3. გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობის მიზნით სტუდენტთა შერჩევის პროცედურა 4

მუხლი 4. სტუდენტთა ნომინირების პროცედურა 7

მუხლი 5. კონკურსში მონაწილე სტუდენტთა უფლება-მოვალეობები 8

მუხლი 6. ფინანსური საკითხები 9

მუხლი 7. კრედიტების შესაბამისობის დადგენა და აღიარების პროცედურა 10

მუხლი 1. მიზანი და რეგულირების სფერო

1. შპს ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სტუდენტთა საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობის წესის (შემდგომში - წესი) მიზანია უნივერსიტეტის სტუდენტების საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა.

2. წესი ადგენს უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამით სარგებლობასთან დაკავშირებულ წესებსა და პირობებს.

3. უნივერსიტეტის საერთაშორისო გაცვლითი და მობილობის პროგრამების განხორციელების საფუძველი შეიძლება იყოს პარტნიორ უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დადებული ორმხრივი წერილობითი დოკუმენტი (მემორანდუმი, ხელშეკრულება და სხვ.), დადგენილი წესით უნივერსიტეტის მიერ მიღებული საერთაშორისო პროექტი ან სხვა საერთაშორისო პროექტი, რომელშიც მონაწილეობს უნივერსიტეტი.

მუხლი 2. კონკურსის გამოცხადება

1. საერთაშორისო გაცვლითი და მობილობის პროგრამების შესახებ კონკურსის გამოცხადების საფუძველია შესაბამისი ვაკანტური ადგილების (სტიპენდიების, ან დაფინანსების სხვადასხვა წყაროს) არსებობა.

2. საერთაშორისო გაცვლითი და მობილობის პროგრამების შესახებ კონკურსის გამოცხადებამდე, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია, გაეცნოს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ მიწოდებული სასწავლო კურსების კატალოგს და დაადასტუროს მათი შესაბამისობა უნივერსიტეტის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამასთან.

3. კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით ბრძანება გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის მიერ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

4. რექტორის მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტში აისახება სტუდენტთა საერთაშორისო გაცვლით ან მობილობის პროგრამაში მონაწილეობის მიზნით კონკურსის ჩატარების წესი, ვადა, საკონკურსო პირობები და კონკურსანტთა შერჩევის კრიტერიუმები ამ წესის შესაბამისად.

მიმდინარე კონკურსის ფარგლებში, რექტორის სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განისაზღვროს სხვა დამატებითი ან/და ამ წესისგან განსხვავებული შეფასების კრიტერიუმები.

5. საკონკურსო პირობების, პროცედურებისა და ვადების შესახებ ინფორმაცია განთავსდება ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე; მიმდინარე კონკურსების შესახებ ინფორმაცია ასევე გავრცელდება უნივერსიტეტის ოფიციალური სოციალური არხებისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

6. კონკურსის მიმდინარეობის პერიოდში, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური რეგულარულად მართავს საინფორმაციო შეხვედრებს, რომელთა შესახებ ინფორმაცია ვრცელდება ამ

მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული საკომუნიკაციო არხების საშუალებით. დაინტერესებულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ინდივიდუალური კონსულტაციისთვის მიმართონ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

მუხლი **3.** გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობის მიზნით სტუდენტთა შერჩევის პროცედურა

1. საერთაშორისო გაცვლით ან მობილობის პროგრამაში მონაწილეობის მიზნით გამოცხადებული კონკურსისათვის განაცხადის წარდგენა შეუძლია კანდიდატს, რომელიც აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს:

   ა) კანდიდატი კონკურსის მიმდინარეობის პერიოდში უნდა ირიცხებოდეს ევროპის უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო ან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე და სარგებლობდეს აქტიური სტუდენტის სტატუსით;

   ბ) საბაკალავრო ან ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს განაცხადის წარდგენის დროს დასრულებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ 1 სემესტრი; სამაგისტრო საფეხურის სტუდენტს განაცხადის წარდგენა შეუძლია პროგრამის პირველივე სემესტრიდან;

   გ) კანდიდატის აკადემიური მოსწრების საშუალო შეწონილი ქულა უნდა იყოს არანაკლებ 2.5 ქულისა;

   დ) კანდიდატის მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ მობილობათა ჯამი ერთი საგანმანათლებლო საფეხურის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს;

   ე) კანდიდატი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას (ან/და სხვა უცხო ენას, რომელზეც იგეგმება მობილობის განხორციელება) ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (CEFR) შესაბამისად მინიმუმ B2 დონეზე[1];

   ვ) წინამდებარე წესით გათვალისწინებული წინაპირობების გარდა, კონკრეტული კონკურსის ფარგლებში დამატებითი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია საჯაროდ გამოქვეყნება ამ წესის მე-2 მუხლის შესაბამისად.

2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, დაინტერესებულმა კანდიდატმა განაცხადი უნდა წარმოადგინოს ელექტრონულად, წინამდებარე წესით განსაზღვრული პირობების შესაბამისად და კონკრეტული კონკურსისათვის განსაზღვრული ვადის დაცვით. კანდიდატს ერთი საკონკურსო პერიოდის განმავლობაში განაცხადის წარდგენა შეუძლია მაქსიმუმ სამი უნივერსიტეტის მითითებით (პრიორიტეტების მითითებით). ელექტრონული განაცხადის ფორმა ივსება ერთხელ, სადაც კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები (ყველა ჩამოთვლილი დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე):

   ა) პასპორტის, ან მისი არარსებობის შემთხვევაში, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

[1] კანდიდატს კონკურსის მიმდინარეობის პერიოდში დასრულებული უნდა ჰქონდეს ან გადალახული ინგლისური ენის B2.1 ან/და შემდეგი საფეხურის კურსს (მხოლოდ ერთელვადიანი (მინ. 1 სემესტრი) მობილობებისათვის)

ბ) CV (რეკომენდებულია Europass-ის ფორმატის გამოყენება);
გ) ცნობა, რომელიც ადასტურებს სტუდენტის აქტიურ სტატუსს ევროპის უნივერსიტეტში;
დ) სტუდენტის მიმდინარე შეფასებების ამონაწერი საშუალო შეწონილი ქულის მითითებით;
ე) ასეთის არსებობის შემთხვევაში, ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონის კომპეტენციის დამადასტურებელი ვალიდური საერთაშორისო სერტიფიკატი (IELTS – მინ. 5.5 ქულა; TOEFL iBT - მინ. 67 ქულა; TOEFL CBT - მინ. 183 ქულა; TOEFL PBT - მინ. 513 ქულა; FCE; CAE; Aptis; ცნობა, რომელიც ადასტურებს სტუდენტი ირიცხება ინგლისურენოვან პროგრამაზე და დასრულებული აქვს ინგლისური ენის B2 დონის კურსი)
იმ შემთხვევაში, თუკი მობილობა ხორციელდება ინგლისურისგან განსხვავებულ უცხო ენაზე, მინიმუმ B2 დონის კომპეტენციის დამადასტურებელი ვალიდური საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენა **სავალდებულოა;**
ვ) ლექტორის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი (მხოლოდ გრძელვადიანი (მინ. 1 სემესტრი) მობილობებისათვის);
ზ) ასეთის არსებობის შემთხვევაში, მოწყვლად ჯგუფთან მიკუთვნებულობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. განაცხადების მიღების ვადის ამოწურვის შემდგომ, შერჩევის პირველ ეტაპს წარმოადგენს კანდიდატის განაცხადის განხილვა; ამ ეტაპის მიზანია კანდიდატის განაცხადის კონკურსის პირობებთან ფორმალური შესაბამისობის დადგენა და მოწმდება:
ა) კანდიდატის საფეხურის, სემესტრისა და აკადემიური მიმართულების შესაბამისობა შემოთავაზებულ პროგრამასთან;
ბ) კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობა ამ მუხლის მე-2 პუნქტთან;
გ) კანდიდატის აკადემიური მოსწრების თავსებადობა ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნასთან;
განაცხადების განხილვის შედეგების შეტყობინებას საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური უზრუნველყოფს ელ-ფოსტის საშუალებით.
კანდიდატები, რომელთა განაცხადიც ჩაითვლება კონკურსის ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისად, გადავლენ შერჩევის მეორე ეტაპზე; მეორე ეტაპის მიზანს წარმოადგენს კანდიდატის ენის კომპეტენციის შესაბამისობის დადგენა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით 3.1 პუნქტით განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნასთან. კანდიდატებს რომლებსაც განაცხადის ფორმაში წარმოდგენილი აქვთ შესაბამისი ენობრივი კომპეტენციის დონის დამადასტურებელი დოკუმენტი, მეორე ეტაპი ჩაეთვლებათ გადალახულად. კანდიდატები, რომლებსაც განაცხადის ფორმაში არ აქვთ წარმოდგენილი ენის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტი, მოწვეულნი იქნებიან ენის კომპეტენციის განმსაზღვრელ ტესტირებაზე.

5. მეორე ეტაპზე, ინგლისური ენის კომპეტენციის განმსაზღვრელ ტესტირებას უზრუნველყოფს ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, საგამოცდო ცენტრთან კოორდინაციით; ინგლისური ენის გამოცდა ამოწმებს კანდიდატის სამ ენობრივ კომპეტენციას

(მოსმენის, კითხვისა და ენის გამოყენების უნარი) CEFR-ის B2 დონის კომპეტენციის მოთხოვნების შესაბამისად.

6. კანდიდატები, რომლებიც წარმატებით გადალახავენ შერჩევის პირველ და მეორე ეტაპებს, გადადიან შერჩევის მესამე ეტაპზე, რომელიც გულისხმობს კანდიდატთა შეფასებას. შეფასების კომისია კომპლექტდება საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ წარდგენილი და რექტორის ბრძანებით დამტკიცებული მინიმუმ 3 წევრისგან. კომისიაში წარმოდგენილნი არიან საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წარმომადგენელი, კანდიდატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი. საჭიროების შემთხვევაში, გასაუბრების ეტაპზე, შეფასების კომისიაში შესაძლოა ასევე წარმოდგენილი იყოს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული უცხო ენის სპეციალისტი. შეფასება ხორციელდება ორ ეტაპად:

I ეტაპი - კანდიდატის განაცხადის შეფასება შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

- აკადემიური მოსწრება - მაქს. 15 ქულა (ქულა გამოითვლება სტუდენტის GPA-ს 3.75-ზე გამრავლებით)
- Erasmus+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში წინარე გამოცდილება - მაქს. 3 ქულა:
    - 3 ქულა - არ აქვს გამოცდილება
    - 1 ქულა - Erasmus+ გაცვლითი პროგრამით ისარგებლა 1-ჯერ;
    - 0 ქულა - Erasmus+ გაცვლითი პროგრამით ისარგებლა 2 ან მეტჯერ;
- მოწყვლად ჯგუფს მიკუთვნებულობის სტატუსი (განისაზღვრება ამ წესის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად) - მაქს. 2 ქულა;

II ეტაპი - გასაუბრება

გასაუბრება კანდიდატთან მიმდინარეობს პირისპირ ან დისტანციურად, ინგლისურ ან/და იმ ენაზე, რომელზეც იგეგმება მობილობის განხორციელება.

გასაუბრების ეტაპზე კომისია აფასებს კანდიდატის მოტივაციას, მის კომუნიკაციისა და ადაპტირების უნარებს მობილობის პროგრამაში მონაწილეობასთან დაკავშირებით. კომისიის თითოეული წევრი კანდიდატს აფასებს მაქსიმუმ 30 ქულით, ხოლო აღნიშნული ეტაპის ქულა გამოითვლება კომისიის თითოეული წევრის მიერ წარმოდგენილი ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

გასაუბრების შეფასების გადანაწილება შემდეგნაირია:

- მოტივაცია - მაქს. 10 ქულა
- ადაპტირების უნარები/პიროვნული მზაობა - მაქს. 10 ქულა
- კომუნიკაციის/თვითპრეზენტაციის უნარი - მაქს. 10 ქულა

იმ შემთხვევაში, თუკი შეფასების I ეტაპზე წარმატებულ სტუდენტთა ოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება კონკურსის ფარგლებში არსებული ვაკანტური პოზიციების ოდენობას, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე, რექტორის ბრძანებით,

შესაძლებელია განისაზღვროს გასაუბრების ეტაპზე გამსვლელი სტუდენტების გონივრული რაოდენობა მათ მიერ დაგროვებული ქულების გათვალისწინებით

7. კანდიდატის საბოლოო საკონკურსო ქულა გამოიანგარიშება ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებში მიღებული ქულების დაჯამებით. კანდიდატმა უნდა დააგროვოს მაქსიმალური 50-დან მინიმუმ 30 ქულა იმისათვის, რომ მისი კანდიდატურა განხილულ იქნეს ნომინირებისთვის.

მუხლი 4. სტუდენტთა ნომინირების პროცედურა

1. ნომინირება გულისხმობს კანდიდატის წარდგენას მასპინძელი უნივერსიტეტისათვის საბოლოო შერჩევის მიზნით. არსებული ვაკანტური ადგილების გათვალისწინებით, თითოეულ მასპინძელ უნივერსიტეტთან ხდება იმ კანდიდატის/კანდიდატების ნომინირება, რომლებიც საკონკურსო ქულების საფუძველზე შედგენილ სარეიტინგო სიაში, ამავე შერჩევის პროცესში მონაწილე მათ კონკურენტ კანდიდატებზე მეტ ქულას დააგროვებენ. კანდიდატები, რომლებიც ვერ დააგროვებენ ნომინირებისთვის საკმარის ქულას, იკავებენ პოზიციას სარეზერვო კანდიდატთა სიაში. ნომინირების დროს, საკონკურსო ქულის გარდა, შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს მასპინძელ უნივერსიტეტთან შეთანხმებით განსაზღვრული პრიორიტეტები (მაგ. სასწავლო საფეხური/მიმართულება). ასევე, იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტი რამდენიმე უნივერსიტეტისათვის ერთდროულად წარადგენს განაცხადს, ნომინირების პროცესში შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს კანდიდატის მიერ განაცხადის წარდგენის დროს დაფიქსირებული პრიორიტეტები.

2. ნომინირების შესახებ ინფორმაცია თითოეულ სტუდენტს მიეწოდება ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ნომინირების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, სტუდენტმა ზეპირსიტყვიერი კონსულტაცია უნდა გაიაროს მისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, მისი სასწავლო გეგმის მდგომარეობის შესახებ; აღნიშნულის საფუძველზე, ნომინირებული კანდიდატი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ელ-ფოსტის საშუალებით წერილობით დაუდასტუროს ან უარი განაცხადოს მიღებულ შეთავაზებაზე. იმ შემთხვევაში, თუკი კანდიდატი უარს განაცხადებს ნომინირებაზე, მის ადგილს დაიკავებს სარეზერვო სიის რეიტინგით შემდგომი კანდიდატი.

3. ნომინირების შემდგომ, სტუდენტი მასპინძელი უნივერსიტეტის მხრიდან იღებს ინგლისურენოვანი კურსების კატალოგს, რის შესახებაც, იგი ვალდებულია ინფორმაცია შეატყობინოს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურსა და მისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს.

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური აზიარებს სასწავლო ხელშეკრულების შაბლონსა და შევსების ინსტრუქციას, სტუდენტი კი მხარეებს უზიარებს სასურველი კურსების ჩამონათვალს, რის საფუძველზეც, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი განიხილავს სასწავლო ხელშეკრულების „მობილობამდე“ ვერსიას; განხილვის პროცესში, პროგრამის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, შესაძლოა დამატებით განისაზღვროს დარგის სპეციალისტის ჩართულობის საჭიროება.

სასწავლო ხელშეკრულებაზე შეთანხმებას სტუდენტი და მისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ადასტურებენ ხელმოწერით, რის შემდგომაც სტუდენტი ვალდებულია უზრუნველყოს სასწავლო ხელშეკრულებაზე მასპინძელი უნივერსიტეტის ხელმოწერა.

თუკი რაიმე გარემოების გამო სტუდენტი იძულებულია ცვლილება შეიტანოს მის სასწავლო გეგმაში მობილობის დაწყებამდე ან დაწყებიდან ორი კვირის ვადაში, იგი ვალდებულია ცვლილების შესახებ წერილობით შეატყობინოს მშობლიური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურსა და მისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს. ასეთ შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი განიხილავს ცვლილებას და მისი დადასტურება ხდება სასწავლო ხელშეკრულების ცვლილებების გრაფის ხელმოწერითა და პირობითი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განახლებული ვერსიის სტუდენტისათვის წარდგენით.

4. კანდიდატის მიღების შესახებ საბოლოო დასტურს გამოსცემს მასპინძელი უნივერსიტეტი. შერჩეული კანდიდატი მასპინძელი უნივერსიტეტის მხრიდან მიიღებს მოწვევის/მიღების წერილს, ხოლო მშობლიური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მხრიდან, ინფორმირებული თანხმობის ფორმას, რომელსაც დანართის სახით ერთვის პირობითი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელზე სტუდენტის მიერ ხელმოწერითაც სრულდება შერჩევის პროცედურა. პირობითი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიწოდება სტუდენტისათვის ხორციელდება მობილობამდე მშობლიურ უნივერსიტეტში გატარებული სემესტრის დასრულების შემდგომ.

5. ამავე მუხლით გათვალისწინებული მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები არ ვრცელდება შერეული ინტენსიური ან სხვა მოკლევადიანი მობილობის შემთხვევებისათვის.

მუხლი **5.** კონკურსში მონაწილე სტუდენტთა უფლება-მოვალეობები

1. განაცხადის წარდგენის ეტაპზე, სტუდენტი პასუხისმგებელია დადგენილი ვადების დაცვაზე, კონკურსით გათვალისწინებულ დოკუმენტთა სრულად წარდგენაზე, მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტთა და ინფორმაციის ნამდვილობასა და ვალიდურობაზე.

2. ნომინირებული/შერჩეული სტუდენტი ვალდებულია:

ა) დროულად დაადასტუროს/უარყოს შემოთავაზება გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის შესახებ;

ბ) ზედმიწევნით, შესაბამისი ვადების დაცვით მიჰყვეს მშობლიური და მასპინძელი უნივერსიტეტიდან მიღებულ ინსტრუქციებს;

გ) საჭიროების შემთხვევაში, დროულად იზრუნოს სავიზო პროცედურების შესრულებაზე;

დ) დაესწროს მშობლიური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ ორგანიზებულ გამგზავრების წინა საორიენტაციო შეხვედრას;

ე) დაიცვას მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული მობილობის დაწყებისა და დასრულების ვადები; მასპინძელ უნივერსიტეტში დაესწროს ლექციებს, გამოცხადდეს გამოცდებზე და დროზე ადრე არ დატოვოს მასპინძელი უნივერსიტეტი ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურთან შეთანხმების გარეშე;

ვ) სასწავლო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, დაუყონებლივ შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ მშობლიურ და მასპინძელ მხარეებს; იქონიოს სამმხრივად ხელმოწერილი სასწავლო ხელშეკრულების საბოლოო ვერსია მობილობის ყოველ ეტაპზე;

ზ) დაბრუნების შემდგომ შეასრულოს მიღებული კრედიტების აღიარების პროცედურა, ამავე წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ინსტრუქციების მიხედვით.;

თ) გაეცნოს საგრანტო ხელშეკრულებას.

მუხლი 6. ფინანსური საკითხები

1. Erasmus+ კრედიტ-მობილობის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში შერჩევა ავტომატურად გულისხმობს სტიპენდიის მოპოვებას, წინასწარ დადგენილი ნიხრების შესაბამისად. სტიპენდიის ხანგრძლივობისა და ზუსტი ოდენობის შესახებ ინფორმაცია კონკრეტული უნივერსიტეტის შემთხვევაში, სტუდენტისათვის ხელმისაწვდომი იქნება კონკურსის მიმდინარეობის ეტაპზე, საკონკურსო განცხადებაში.

2. სტიპენდიის გაცემა ხდება მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ. სტიპენდიის გაცემის წესები და პირობები შესაძლოა განსხვავებული იყოს კონკრეტული უნივერსიტეტისა თუ ქვეყნის შიდა რეგულაციების მიხედვით. აღნიშნული საკითხები რეგულირდება მასპინძელ უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებით.

3. საერთაშორისო გაცვლით ან მობილობის პროგრამით სარგებლობის დროს, შერჩეული სტუდენტი გათავისუფლებულია მასპინძელ უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან (აღნიშნული არ ეხება სხვა რაიმე ადმინისტრაციულ მოსაკრებელს, რომელიც მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ შეიძლება იყოს განსაზღვრული).

4. გაცვლითი ან მობილობის პროგრამით სარგებლობის პერიოდში სტუდენტი ინარჩუნებს აქტიურ სტატუსს მშობლიურ უნივერსიტეტში, რაც გულისხმობს, რომ იგი აგრძელებს სწავლის საფასურის გადახდას ევროპის უნივერსიტეტისათვის. სწავლის საფასურის გამოანგარიშება ხდება სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულების მიხედვით, მშობლიურ უნივერსიტეტში აღიარებადი კრედიტების საპირწონედ. მობილობის სემესტრის საფასური სტუდენტმა უნდა დაფაროს სრულად, მობილობის სემესტრის დაწყებამდე.

5. იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტი მიეკუთვნება რაიმე ტიპის მოწყვლად/განსაკუთრებულ ჯგუფს, მისთვის შესაძლოა ხელმისაწვდომი იყოს დამატებითი ფინანსური რესურსი ერაზმუსის პროგრამის ფარგლებში.

ფინანსური დანამატის მიღება შესაძლოა გავრცელდეს:

ა) სოციალურად დაუცველ პირებზე;

ბ) იძულებით გადაადგილებულ პირებზე;

გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე;

დ) მრავალშვილიანი ოჯახის წევრ პირებზე;

ე) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირებზე;

ვ) საზღვრისპირა ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებზე;

ზ) ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპულ პირთა ოჯახის წევრებზე.

იმ შემთხვევაში, თუკი მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ „მოწყვლადი ჯგუფები“ განისაზღვრება აღნიშნულისგან განსხვავებულად, ინფორმაცია შერჩეულ კანდიდატს მიეწოდება მასპინძელი უნივერსიტეტის მხრიდან.

მუხლი 7. კრედიტების შესაბამისობის დადგენა და აღიარების პროცედურა

1. საერთაშორისო გაცვლითი ან მობილობის აკადემიური პროგრამის მიზანია მასპინძელ უნივერსიტეტში კრედიტების მოპოვება ისე, რომ მათი აღიარება სრულად მოხდეს სტუდენტის მშობლიური აკადემიური პროგრამის ფარგლებში. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, დგება სასწავლო ხელშეკრულება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ამავე წესის მე-5 მუხლის შესაბამისად.

2. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენა და გაცვლითი პროგრამის/მობილობის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება ხდება შპს ევროპის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-16 მუხლის შესაბამისად.

3. იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტი მასპინძელ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ვერ აგროვებს სტანდარტული სემესტრული დატვირთვით გათვალისწინებულ 30 კრედიტს, ან მიღებული კრედიტები არ არის სრულად შესაბამისი მისსავე მშობლიურ პროგრამაში 30 კრედიტის, ნაკლული კრედიტების ასანაზღაურებლად სტუდენტმა დამატებითი კრედიტები უნდა გაიაროს დაბრუნების შემდგომ. აღნიშნულის შესახებ სტუდენტის ინფორმირება უზრუნველყოფილია ნომინირების ეტაპზე, პირობითი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მომზადებისას.

4. დამატებითი კრედიტის საფასურს სტუდენტი იხდის დაბრუნების შემდეგ, შესაბამის სემესტრში. გამონაკლისის სახით, იმ შემთხვევაში, თუკი კონკრეტული კურსის გავლა პირველადი სასწავლო ხელშეკრულების მიხედვით იყო გათვალისწინებული, ხოლო სტუდენტი ამ კურსს მასპინძელი უნივერსიტეტის ბრალეულობით ვერ გაივლის, სტუდენტი თავისუფლდება დამატებითი კრედიტის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან.

5. გაცვლითი ან მობილობის სემესტრში მოპოვებული კრედიტების აღიარებისათვის, სტუდენტი დაბრუნებისთანავე უნდა მიჰყვეს მოცემულ პროცედურებს:

ა) ოფიციალური ნიშნების ფურცლის მიღების შემდგომ, უზრუნველყოს მისი ქართულ ენაზე თარგმნა და ნოტარიულად დამოწმება;

ბ) განცხადებით მიმართოს შესაბამის ფაკულტეტს მასპინძელ უნივერსიტეტში მიღებული კრედიტების შესაბამისობის შესახებ დასკვნის მომზადების მოთხოვნით; განცხადების მომზადებაში ასისტირება წარმოადგენს სტუდენტის პროგრამის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის კომპეტენციას;

გ) განცხადების დაკმაყოფილების შემდგომ, ფაკულტეტი გამოსცემს დასკვნას მასპინძელ უნივერსიტეტში მიღებული კრედიტების მშობლიურ პროგრამასთან თავსებადობის შესახებ (სასწავლო ხელშეკრულების მიხედვით); ფაკულტეტის მიერ გაცემული დასკვნა, სასწავლო ხელშეკრულება, ნიშნების ფურცელი და ცნობა, რომელიც ადასტურებს რომ მობილობის პერიოდში სტუდენტის მიერ დასრულებული კომპონენტების სწავლება მიმდინარეობდა ფიზიკურად, სტუდენტმა უნდა წარადგინოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (NCEQE-მისამართი: მერაბ ალექსიძის ქუჩა #2, თბილისი).

დ) კრედიტის აღიარების პროცესის დასრულების მიზნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან (NCEQE) დასტურის მიღების შემდგომ, სტუდენტი უზრუნველყოფს დოკუმენტის უნივერსიტეტში წარდგენას.